

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს**  
**2011 წლის 20 დეკემბრის სხდომის**  
**ოქმი №18**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან ესწრებოდა 28. ასევე, სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** დღეს ვატარებთ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომას. პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, 1-ლი იანვრიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ენიჭება კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალი წესდება, რომლის შედგენაზეც იმუშავეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრებმა. აღნიშნული წესდების პროექტს თქვენ უკვე გაეცანით და გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი წინადადებები და შენიშვნები.

**სპიკერი:** ახალი წესდების განხილვისას თუ გექნებათ შენიშვნები, გთხოვთ, წერილობითი სახით წარუდგინოთ საბჭოს და დაასაბუთოთ თქვენი აზრი.

**პროფ. ზვიად კოჭიბერიძე:** პროექტს ყველანი გავეცანით. მართლაც, დიდი სამუშაოა ჩატარებული, მაგრამ მე მაქვს შენიშვნა, რომელიც ეხება მე-3 თავში წარმოდგენილ საკითხებს და მინდა, მოგვცეთ რამდენიმე დღე, რათა ჩვენი მოსაზრებები დავამუშაოთ, კარგი იქნება, ასევე, თუ შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს ჩვენს შენიშვნებს.

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** გამომდინარე იქიდან, რომ 1-ლი იანვრიდან ჩვენ უკვე გვენიჭება კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი, ფიზიკურად ვერ მოვახერხებთ კომისიების შექმნას.

**პროფ. ზვიად კოვზირიძე:** მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ფაკულტეტის სტრუქტურას ჰქონდეს ცვლილებები?

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** ეს ფაკულტეტის ხელმძღვანელის გეგმის ნაწილია.

**პროფ. ზვიად კოვზირიძე:** ჩემი აზრით, გარკვეულ ასაკში, ფუნქციურად უნდა შეიცვალოს სრული პროფესორის საქმიანობა, ასაკისა და ხარისხის მატებასთან ერთად, მან უნდა იმუშაოს მხოლოდ მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან.

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** აკადემიური საბჭო ინდივიდუალურად გადაწყვეტს ასეთ საკითხებს.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** ჩემი აზრით, ზოგადად მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ფაკულტეტის სტრუქტურა. ასევე მაინტერესებს, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული უნივერსიტეტის დასახელება?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ოფიციალურ და იურიდიულ დოკუმენტში უნივერსიტეტების დასახელება გაშლილი სახით არ იწერება.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** მაინტერესებს, რა იგულისხმება სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებაში?

**სტუდენტი ირაკლი გაბისონია:** აქ იგულისხმება სტუდენტების უფლება – აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი.

**პროფ. ჯემალ ბერიძე:** 22-ე მუხლში არ არის მითითებული ფაკულტეტის ხარისხის მართვის უფროსის არჩევა რამდენჯერაა შესაძლებელი?

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** არ იქნება მითითებული, რადგან ფაკულტეტის ხარისხის მართვის უფროსის თანამდებობა დანიშნითია.

**სტუდენტი ირაკლი გაბისონია:** მინდა საშტატო განრიგთან დაკავშირებით მითითება გავაკეთო მე-15 მუხლზე, რომელიც, ვფიქრობ, რექტორთან უნდა იყოს შეთანხმებული.

**პროფ. ზურაბ ლომსაძე:** კარგი იქნება წესდებაში ერთ-ერთ საკითხად თუ ჩავწერთ საუნივერსიტეტო ჯილდოებს.

**სპიკერი:** რადგან ბატონი დავით ჯაფარიძე არ ესწრება სხდომას, წარმოგიდგენთ მის წინადადებას: წელიწადში ორჯერ, ივნისისა და ოქტომბრის თვეებში, წარმომადგენლობითმა საბჭომ მოისმინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში.

**რექტორი:** უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს კარიერული ცენტრი, რომელიც იქნება ბატონ ბორის გითოლენდიასთან.

**სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი გიორგი კულდონაშვილი:** მე მინდა სტუდენტების სახელით მოვინებო გამოვთქვა ახალ წესდებასთან დაკავშირებით, რადგან სტუდენტებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება, გამოხატონ საკუთარი ნება სენატის ახალ არჩევნებში. ყველაფერი ეს კი ახალ სტიმულთან და პერსპექტივებთან არის დაკავშირებული.

*წარმომადგენლობითმა და აკადემიურმა საბჭოებმა კენჭისყრის შედეგად დაამტკიცეს წარმოდგენილი წესდების პროექტი.*

## გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების პროექტი.

გადაწყვიტეს:

1. კენჭისყრის შედეგად წარმოდგენილი წესდების პროექტი ერთხმად იქნეს მიღებული.
2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი